სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

2023-2025 სასწავლო წლის

თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო

საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგი

2023

სარჩევი

1. სამაგისტრო პროგრამის მიმოხილვა

1.1 სამაგისტრო პროგრამის ზოგადი აღწერილობა

1.2 სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსები

1.3 სამაგისტრო პროგრამის მიზანი

1.4 სამაგისტრო პროგრამის აქტუალობა

1.5 სამაგისტრო პროგრამაზე დასწრების მეთოდი

2. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა

2.1 შესარჩევი კანდიდატები

2.2 სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა

2.2.1 სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები

2.2.2 სამაგისტრო პროგრამის კვოტები

3. შეფასების სისტემა

4. სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულთა შესაძლებლობები

5. დასაქმების სფერო

1. სამაგისტრო პროგრამის მიმოხილვა

1.1. სამაგისტრო პროგრამის ზოგადი აღწერილობა:

- **სამაგისტრო პროგრამის დასახელება:** თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამა / MA program in Defence Analysis;
- **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** თავდაცვის ანალიზის მაგისტრი / MA in Defence Analysis;
- **სამაგისტრო პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 121 ECTS კრედიტი;
- **სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობა:** 2 წელი - 4 სემესტრი. I, II, და III სემესტრებში სწავლება მიმდინარეობს ნახევრად რეზიდენტულად - საჯარო მოხელეებზე მორგებული ჰიბრიდული სწავლების რეჟიმით (სწავლება მიმდინარეობს, როგორც აუდიტორიებში, ასევე სხვადასხვა სასწავლო პლატფორმების გამოყენებით), IV სემესტრში - არარეზიდენტულად (დაუსწრებელი).

1.2. სამაგისტრო პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსები

1.2.1 სავალდებულო სასწავლო კურსები:

1. აკადემიური წერა მაგისტრანტებისთვის;
2. სამხედრო ოპერაციების წარმოების საფუძვლები;
3. სამხედრო ლიდერობა;
4. ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორია;
5. თავდაცვა და ეროვნული უსაფრთხოება;
6. თავდაცვის მენეჯმენტი;
7. ომის ტრანსფორმაცია - ჰიბრიდული და ასიმეტრიული ომები;
8. სამხედრო კამპანიების დაგეგმვა და აღსრულება;
9. სტაბილურობის შენარჩუნების და სამოქალაქო მხარდაჭერის ოპერაციები;
10. ბრიგადის ოპერაციები;
11. კვლევის მეთოდები და დიზაინი;
12. სამაგისტრო ნაშრომი.

1.2.2 არჩევითი სასწავლო კურსები:

1. საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია ENG;
2. ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა;
3. ტერორიზმი;
4. დაზვერვა და ინფორმაციის ანალიზი;
5. საქართველოს ახალი და უახლესი სამხედრო ისტორია
6. საერთაშორისო კონფლიქტები;
7. სამშვიდობო პროცესები;
8. საგარეო პოლიტიკის ანალიზი;

9. მენეჯმენტის (მართვის) ფსიქოლოგია;
10. კავკასიის რეგიონი საერთაშორისო ურთიერთობებში;
11. რეგიონალური უსაფრთხოება.

1.3. სამაგისტრო პროგრამის მიზანი

თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სიღრმისეული ცოდნისა და პროფესიული უნარ-ჩვევების მქონე სამხედრო და სამოქალაქო მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რომლებსაც უსაფრთხოების ცვალებადი გარემოს პირობებში:

- ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა თავდაცვის კონცეფციებისა და თეორიების შესახებ;
- მონაწილეობას მიიღებენ სამხედრო პოლიტიკისა და თავდაცვითი სტრატეგიის დახვეწასა და მათ სათანადო განხორციელებაში;
- შეეძლებათ სამხედრო ოპერაციების/კამპანიების მომზადება, დაგეგმვა და აღსრულებაში მონაწილეობის მიღება;
- შეეძლებათ მუშაობა ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობისას თავდაცვის სფეროს ფართო სპექტრში, როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო დონეზე.

სფეროს საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, პროგრამა მაქსიმალურადაა პრაქტიკაზე და კარიერულ პროგრესზე ორიენტირებული და მოწოდებულია იუნკერისთვის ისეთი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მიწოდებაზე, რომლებიც ადეკვატურად პასუხობს თანამედროვე უსაფრთხოების სფეროსა და ქმნის საზოგადოების განვითარების წინაპირობას.

1.4 პროგრამის აქტუალობა

სამაგისტრო პროგრამის შეთავაზების მიზეზია საქართველოში სამხედრო სფეროში უმაღლესი განათლების მაგისტრატურის საფეხურზე წინამდებარე უნიკალური პროგრამის შეთავაზების აუცილებლობა. თანამედროვე ჰიბრიდული გამოწვევების საპასუხოდ, ტოტალური თავდაცვის სისტემის დასანერგად და კომპლექსური პრობლემების გადასაწყვეტად საქართველოს თავდაცვის ძალებს და ზოგადად უსაფრთხოების სექტორს ესაჭიროება ღრმა სისტემური ცოდნის მქონე პროფესიონალები. პროგრამა ასევე აქტუალურია, კარიერული წინსვლის და უფროს ოფიცერთა შემადგენლობის სამხედრო წოდებრივი და თანამდებობრივი დაწინაურების არსებულ სისტემასთან შესაბამისობის მიზნით.

1.5. სამაგისტრო პროგრამაზე დასწრების მეთოდი

1.5.1. სამაგისტრო პროგრამაზე სწავლისას პირველი სამი სემესტრის განმავლობაში პროგრამაზე სწავლა მიმდინარეობს ჰიბრიდული სწავლების (როგორც აუდიტორიებში, ასევე სხვადასხვა სასწავლო პლატფორმების

გამოყენებით) მეთოდით, რომელიც წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეებზე სპეციალურად მორგებულ სწავლების რეჟიმს.

1.5.2. პირველი სამი სემესტრის განმავლობაში სალექციო პროცესი გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- ძირითადი სასწავლო კურსები (დღეში 2 ლექცია) ტარდება პარასკევს და შაბათს მაგისტრატურაზე სააუდიტორიო სალექციო რეჟიმში. საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში მაგისტრანტებს შესაძლებლობა აქვთ დაესწრონ ლექციებს სხვადასხვა სასწავლო პლატფორმების გამოყენებით. სალექციო საათები განისაზღვრება სასწავლო ჯგუფებთან შეთანხმების საფუძველზე;
- არჩევითი სასწავლო კურსები ტარდება სამუშაო დღის დასრულების შემდგომ, საღამოს საათებში - 19:00 საათის შემდეგ ჰიბრიდული სწავლების (როგორც აუდიტორიებში, ასევე სასწავლო პლატფორმების გამოყენებით) მეთოდით.

1.5.3. მეოთხე სემესტრში მაგისტრანტები სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობენ დაუსწრებელ რეჟიმში. სემესტრის მიმდინარეობისას აქვთ მჭიდრო კომუნიკაცია სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან/თანახელმძღვანელებთან, როგორც დისტანციურ ასევე ასევე სააუდიტორიო რეჟიმში (მაგისტრანტის საჭიროების მიხედვით). კვლევაზე მუშაობის პროცესში მაგისტრანტები აქტიურად იყენებენ მაგისტრატურის ბიბლიოთეკას, ელექტრონულ წვდომას სამეცნიერო ბაზებზე და ეროვნული თავდაცვის აკადემიის სხვა სტუდენტურ სერვისებს.

2. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა

2.1 შესარჩევი კანდიდატები

- პროგრამაზე სწავლის მსურველებს უნდა ჰქონდეთ არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის ოფიცრები: ,,მაიორი''-ს და ,,ვიცე-პოლკოვნიკი''-ს სამხედრო წოდებით - რომლებსაც გავლილი აქვთ კაპიტნის საკარიერო კურსი ან მასთან გათანაბრებული სამხედრო განათლების პროგრამა, მინიჭებული აქვთ არანაკლებ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ზღვრულ ასაკამდე დარჩენილი აქვთ არანაკლებ 5 წლისა და არ აქვთ დამთავრებული სამეთაურო საშტაბო კურსი ან/და მისი უცხოური ექვივალენტი.
- თავდაცვის სამინისტროს სისტემის ოფიცერთა და სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირადი შემადგენლობა;
- პროგრამაზე ასევე დაიშვებიან უსაფრთხოების სექტორის და სახელმწიფო სტრუქტურების მოქმედი თანამშრომლები.

2.2 სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა

2.2.1 სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები

სამაგისტრო პროგრამაზე ჩასარიცხად კანდიდატებმა:

- უნდა ჩააბარონ ერთიანი ეროვნული გამოცდების საერთო სამაგისტრო გამოცდა (მაგისტრანტობის კანდიდატები ერთიანი ეროვნული გამოცდების საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის რეგისტრაციას გაივლიან ინტერნეტით, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე (www.naec.gov.ge; online.naec.ge). რეგისტრაციის ვადები (რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს 2023 წლის 3 აპრილამდე), გამოცდების თარიღები და სხვა ინსტრუქციები იქნება განთავსებული იგივე ვებგვერდზე);
- უნდა ჩააბარონ მისაღები გამოცდა სპეციალობაში (მისაღები გამოცდის თემატიკა უნდა გამოქვეყნდეს აკადემიის ვებ-გვერდზე შიდა გამოცდის თარიღამდე ერთი თვით ადრე);
- უნდა ჩააბარონ აკადემიის მიერ ორგანიზებულ ინგლისური ენის გამოცდა STANAG 2/2/2/2 (სტანაგის თაობაზე ინფორმაცია იხილეთ თავდაცვის სამინისტროს ინტერნეტ გვერდზე - https://mod.gov.ge/ge/page/116/stanag-6001 ან თავდაცვის სამინისტროს შიდა პორტალზე - pd - mil.ge/english-text) ან წარმოადგინონ ენის ცოდნის შესაბამისი დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი მინიმუმ CEF B2 (ან შესაბამისი დონის TOEFEL/ILTS/ECL ან სხვა საერთაშორისო ინგლისური ენის გამოცდა) ან წარმოადგინონ დიპლომი/სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ გავლილი აქვთ ინგლისურენოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ან სამხედრო საკარიერო კურსი (CCC, CGSC, WAR COLLEGE და ა.შ.);
- სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე მაგისტრანტობის კანდიდატები პროგრამაზე ირიცხებიან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2.2.2 სამაგისტრო პროგრამის კვოტები

- სამაგისტრო პროგრამაზე ჩასარიცხი სამხედრო და სამოქალაქო პირების კვოტა არის 30.
- თუკი სამხედრო/სამოქალაქო მოსამსახურეების რაოდენობა აღემატება პროგრამისათვის არსებული ადგილების რაოდენობას, მისაღები გამოცდის შედეგების მიხედვით შექმნილი რეიტინგის შესაბამისად, პროგრამაზე ჩაირიცხება უკეთესი მაჩვენებლის მქონე სამხედრო/სამოქალაქო მოსამსახურე.
- რომელიმე სახელმწიფო უწყებიდან კანდიდატის არ არსებობის ან საგამოცდო მინიმუმის ვერ გადალახვის შემთხვევაში მათი კვოტა დაემატება თავდაცვის სამინისტროს სამხედრო გვარეობებს (მისაღები გამოცდის შედეგების მიხედვით შექმნილი რეიტინგის შესაბამისად, კურსზე ჩაირიცხება უკეთესი მაჩვენებლის მქონე სამხედრო მოსამსახურე).

3. შეფასების სისტემა

თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრანტის ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების შესაბამისად; მაგისტრანტთა დატვირთვა მოიცავს: ლექციაზე, სემინარზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობას, დამოუკიდებელ მუშაობას, სამეცნიერო-კვლევით კომპონენტზე (სამაგისტრო ნაშრომი და სხვა.) მუშაობას, სამაგისტრო ნაშრომის დაცვას, სხვა სახის საქმიანობას სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე.

თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო წოდების ოფიცრები სამეთაურო-საშტაბო პროგრამაზე სწავლისას ფასდებიან სამაგისტრო პროგრამით დადგენილი შეფასების სისტემის მიხედვით.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა

გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:

ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, ჩაიჭრა. მაგისტრანტის სტატუსის შეწყვეტის საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო.

მაგისტრანტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე სასწავლო კურსში - FX-შეფასების მიღების შემთხვევაში დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

მაგისტრანტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) კომპეტენციებთან. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები გაწერილია ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

მაგისტრანტთა ცოდნის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასება ითვალისწინებს: შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთა ჯამი

წარმოადგენს საბოლოო შეფასებას; შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი. შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში;

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა მაგისტრანტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კომპონენტებში შუალედური და დასკვნითი შეფასებისა და შუალედური შეფასების კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილია 51%. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). დასკვნითი შეფასება მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასებას (20 ქულა), რეცენზენტის შეფასებას (30 ქულა) და სამაგისტრო ნაშრომის შეფასებას საჯარო დაცვაზე (50 ქულა). კრედიტის მიღების მოთხოვნაა მაქსიმალური (100) ქულიდან 51 ქულის ან მეტის მიღება.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე მაგისტრანტმა უნდა შეასრულოს შემდეგი აქტივობები:

- მოამზადოს მინიმუმ 1 პუბლიკაცია მაინც და გამოაქვეყნოს რეფერირებად ჟურნალში;
- მონაწილეობა მიიღოს მინიმუმ 1 სამეცნიერო კონფერენციაში მაინც.

სტატია/საკონფერენციო თემა უნდა იყოს მაგისტრანტის მიერ არჩეული სამაგისტრო თეზისის თემატიკასთან ახლოს; (აღნიშნული ძალაში შევიდეს 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხული მაგისტრანტებისთვის).

იუნკერის მიერ, სამეთაურო-საშტაბო კურსის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების წარმატებით გავლის და აღნიშნული პროგრამის კომპლექსური დამამთავრებელი გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, მას მეორე სემესტრის დასასრულისათვის გადაეცემა სამეთაურო საშტაბო კურსის დიპლომი.

4. სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულთა შესაძლებლობები

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს შემდეგი ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები:

- აქვს თავდაცვის ანალიზის, თავდაცვის კონცეფციებისა და თეორიების სიღრმისეული ცოდნა რაც მისცემს მათ შესაძლებლობას შეიმუშაონ ან მონაწილეობა მიიღონ ახალი მიდგომებისა და კონცეფციების

შემუშავების პროცესში;

- ღრმად და სისტემურად აღწერს უსაფრთხოების დოკუმენტებს, რის საფუძველზეც შეძლებს სამხედრო გადაწყვეტილების მიღების პროცესისა და ოპერატიული დიზაინის წარმართვას სწორი მიმართულებით;
- სისტემურად აანალიზებს ეროვნული ძალის ინსტრუმენტებს, რაც მისცემს მათ ახალი ორიგინალური იდეების შემუშავებისა და პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას თანამედროვე ოპერატიულ გარემოში;
- ახდენს საბრძოლო ფუნქციების ინტეგრირებას სრული სპექტრის ოპერაციებში;
- არჩევს შესაფერისი გადაწყვეტილების მიღების მეთოდებს ეროვნული უსაფრთხოების საკითხების ანალიზისათვის;
- დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს დეცენტრალიზებული მართვის პირობებში;
- იყენებს თანამედროვე ოპერატიულ გარემოში ეროვნული ძალის ინსტრუმენტების ცოდნას დასახული ამოცანების შესასრულებლად და წამოჭრილი პრობლემების გადასაწყვეტად;
- წარმართავს ოპერატიულ დიზაინს ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე;
- კრიტიკულად აანალიზებს რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების ასპექტებს;
- ღრმად და სისტემურად აღწერს თავდაცვის ანალიზისა და ეროვნული თავდაცვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებს;
- იღებს არგუმენტირებულ გადაწყვეტილებებს ცვალებად ოპერატიულ გარემოში;
- დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევას ეთიკური და პროფესიული სტანდარტების დაცვით;
- ახდენს თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების ჩამოყალიბებას აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან, აკადემიური
- კეთილსინდისიერების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით;
- აქვს სამხედრო ლიდერობის სხვადასხვა თეორიების, სამხედრო ლიდერობაში არსებულ თანამედროვე მიდგომებზე ღრმა და სისტემური ცოდნა,
- წარმატებით ახდენს, ამოცანით მართვის ფილოსოფიის ინტეგრირებას სამხედრო ლიდერობაში;
- აქვს, სამხედრო ინტერვენციის, ოკუპაციის და ანექსის დადგენის

სიღრმისეული ცოდნა, გადმოსცემს ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიის არსს, თანამედროვე საბრძოლო ტაქტიკას და სტრატეგიას, ახდენს საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხების ილუსტრირებას სამხედრო-პოლიტიკურ ასპექტში;

- ურთიერთაკავშირებს თავდაცვის ძალების რესურსების დაგეგმვას, ბიუჯეტირებას და პროგრამირებას;
- მიმოიხილავს შეიარაღებული კონფლიქტების სამართლის არსს და მოთხოვნებს.

5. დასაქმების სფერო

კურსდამთავრებულები დასაქმდებიან სტრატეგიულ პოლიტიკურ სფეროში, მრჩეველთა პოზიციებზე, თავდაცვის სამინისტროსა, საგარეო საქმეთა სამინისტროს, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს და თავდაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვა დაწესებულებებში. სამხედრო სექტორთან ერთად, კურსდამთავრებულებს შეუძლიათ დასაქმდნენ სამოქალაქო სექტორშიც: სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებში, რომელიც სპეციალიზებულია მიმართულებების დადგენასა და განხორციელებაში: თავდაცვის უსაფრთხოების საკითხებში, კონტრტერორისტულ პოლიტიკაში და სხვა. კურსდამთავრებულებს შეეძლებათ ეროვნული თავდაცვის საკითხების, თავდაცვის უსაფრთხოების კვლევებისა და პოლიტიკური კვლევების განხორციელებაში მონაწილეობა და იმ ძირითად სფეროებში მუშაობა, სადაც ორიენტაცია აღებულია ეროვნულ უსაფრთხოებაზე, უსაფრთხოებისა და თავდაცვის მიმართულების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაზე.

სწავლის გაგრძელება შესაძლებელია უმაღლესი აკადემიური განათლების მესამე საფეხურზე - დოქტორანტურაში, როგორც საქართველოში, ისე – საზღვარგარეთ.

საკონტაქტო პირები:

მაგისტრატურის ხელმძღვანელი
ვიცე-პოლკოვნიკი **გიორგი არაბული**
ელ ფოსტა: garabuli@mod.gov.ge,
ტელ: +995 577 19 84 07

თავდაცვის ანალიზის
მიმართულების ხელმძღვანელი
ვიცე-პოლკოვნიკი **არკადი ანთია**
ელ. ფოსტა: aantia@mod.gov.ge
ტელ: +995 599 11 70 05